

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ დაკვეთით ტარდება საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო კომპანია Edison Research ([www.edisonresearch.com](http://www.edisonresearch.com)).

Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

\*\*\*\*\*

1. **დამკვეთი**–შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (ს/კ:211352016), მისამართი: ზ.ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდრო ეულისქ.5ა), თბილისი, 0186, საქართველო.
2. **კვლევა ფასიანია თუ უფასო**– კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელმეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ დაკვეთით.
3. **ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა**– სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 6 ვესტ კლიფ ქუჩა, სამერვილ, ნიუ ჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
4. **კვლევის ჩატარების დრო**–12.11.2018- 18.11.2018
5. **გამოკითხვის მეთოდი**- პირისპირი გამოკითხვის გზით;
6. **გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა:**
  - საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დღეს რომ ტარდებოდა, ვის მისცემდით ხმას?
  - თუ შეიძლება დააფიქსირეთ თქვენი აზრი ყველა მოცემულ საპრეზიდენტო კანდიდატზე. თქვენი დამოკიდებულება მოცემული საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ არის ძალიან დადებითი, მეტ-ნაკლებად დადებითი, მეტ-ნაკლებად უარყოფითი თუ ძალიან უარყოფითი?
  - როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არა?
  - ეთანხმებით თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლის თანახმად აღარ მოხდება პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა?
  - თქვენი აზრით, პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილების შესახებ უნდა ჩატარდეს თუ არა რეფერენდუმი?
  - როგორ შეაფასებდით ბიძინა ივანიშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში?
7. **შესაძლო ცდომილების ფარგლები**– შესაძლო ცდომილება +/-2%, 95%-იანი სანდოობის დონისათვის.
8. **კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია:** საქართველოს მოსახლეობა, რომელთაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
9. **შერჩევის არეალი:** საქართველო
10. **შერჩევის ზომა:** 2038
11. **შერჩევის ტიპი:** შემთხვევითი შერჩევა (არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში)
12. **მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა:** დიახ, მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სქესის, ასაკის პარამეტრებით.
13. **კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი:** 2038 რესპონდენტი, 18+ წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები.

14. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს: შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამიზნულია ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემები მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.
15. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

	რაოდენობა	%
1. სახლში არავინ ცხოვრობს	224	
2. არავინ გააღო კარი, არავინ იყო სახლში	250	
3. ადამიანმა, რომელთანაც შედგა კონტაქტი უარი განაცხადა თანამშრომლობაზე	269	
4. შერჩეულ რესპონდენტს არ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება ინტრევიუს ჩატარების გეოგრაფიაში	141	
5. ბოლო დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი არ იყო სახლში	122	
6. შერჩეულმა რესპონდენტმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე	104	
7. შერჩეულ რესპონდენტს არ შეეძლო კვლევაში მონაწილეობა (ავად იყო/მთვრალი იყო და ა.შ)	30	
8. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება სახლში და ინტრევიუს ჩატარება არ არის შესაძლებელი	102	
9. სხვა მიზეზი	30	
10. წარმატებული ინტერვიუ	2,038	
<b>ჯამი</b>	<b>2,945</b>	<b>69.6%</b>

16. ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე: მონაცემები ეფუძნება 12.11.2018-18.11.2018 პერიოდში, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე 18+ წლის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხულ 2038 რესპონდენტთა აზრს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: [info@edisonresearch.com](mailto:info@edisonresearch.com). [www.edisonresearch.com](http://www.edisonresearch.com)